განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“. ზემოაღნიშნული საკითხის სრულყოფილად და ეფექტიანად განხორციელებისათვის, პირის საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია იმპლიმენტირებულ იქნეს წარმოდგენილ კანონში.

ანალოგიური დებულება გათვალისწინებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამ კანონის შესაბამისად, „უცხოელს, რომელიც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“. ამავე კანონით განსაზღვრულია უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევების საფუძვლები, რომლის მიხედვით უცხოელისა მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ინტერესების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია საქართველოს საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა, რათა შევსებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით ისედაც განსაზღვრული შეზღუდვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

სახელმწიფოსა და მისი ყოველი მოქალაქის უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია საქართველოდან პირის დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანისათვის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს პირის ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და ა.შ. ამასთან, პირი ინფორმირებული არ არის იმ კონკრეტული, რეალური მიზეზის თაობაზე, თუ რატომ ეთქვა უარი საქართველოდან დროებითი გასვლისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ზიანი მოჰყვეს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს. გასათვალისწინებელია, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული დასკვნა ატარებს დროებით ხასიათს და შესაბამისად, პიროვნებას არ ართმევს შესაბამის ორგანოში მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების (ქმედება) გასაჩივრების უფლებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოითხოვს კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულ დასკვნას, ასევე პიროვნების საქართველოდან გასვლის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ სხვა აუცილებელ მასალას და არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობისას უფლებამოსილია გააუქმოს პიროვნების მიმართ მიღებული შეზღუდვის გადაწყვეტილება. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კომპეტენტური ორგანოს მიერ სასამართლოს მასალები გაეგზავნება სახელმწიფო საიდუმლოების წესების დაცვით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება ფინანსური შედეგების წარმოშობას იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

არ არის;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

არ არის;

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები ირინე იმერლიშვილი და ზურაბ აბაშიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები ირინე იმერლიშვილი და ზურაბ აბაშიძე